


სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის ანგარიში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, დოკუმენტში ასახულია ინფორმაცია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ 2019 წლის 10 დეკემბრიდან 2020 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ.

2019 წლის 10 დეკემბრიდან 2020 წლის 10 დეკემბრამდე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შემოვიდა საჯარო ინფორმაციის გაცემის **50 (ორმოცდაათი) მოთხოვნა**. აქედან:

- ✓ 40 (ორმოც) შემთხვევაში სრულად გაიცა მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტების ასლები;
- ✓ 07 (შვიდ) შემთხვევაში მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ (01 (ერთ) შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად არ იყო დაცული/აღრიცხული სამსახურში; 01 (ერთ) შემთხვევაში მოთხოვნილი იყო სახელმძღვანელო, რომელიც განახლების ეტაპზეა; 05 (ხუთ) შემთხვევაში მოთხოვნილი იყო მესამე პირთა პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტები (მათ შორის ინსპექტორის გადაწყვეტილებები დიდი რაოდენობით), რომლებიც გაიცა ფიზიკურ პირთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით;
- ✓ 3 (სამი) განცხადების განხილვა ამჟამად მიმდინარეობს.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის მდგომარეობა



2. 2019 წლის 10 დეკემბრიდან 2020 წლის 10 დეკემბრამდე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში არ შემოსულა მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ.

3. 2019 წლის 10 დეკემბრიდან 2020 წლის 06 მაისამდე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი იყო სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი სალომე ბახსოლიანი, ხოლო 2020 წლის 06 მაისიდან დღემდე აღნიშნულ საკითხზე პასუხისმგებლობა ეკისრება იურიდიული დეპარტამენტის უფროსს ლანა ხუნაშვილს. შესაბამისად, სწორედ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი იღებს გადაწყვეტილებას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების/გაცემაზე უარის თქმის შესახებ. საჯარო

ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც - foi@stateinspector.ge.

4. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ვებგვერდზე განთავსებულია ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრი (<https://catalog.pdp.ge/>). ამავე ვებგვერდზე განთავსებულია სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებების რეესტრი (<https://personaldata.ge/ka/decisions>), სადაც გადაწყვეტილებები გასაჯაროებულია მოქალაქეთა და კერძო სამართლის იურიდიული პირების იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.

5. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დამუშავების საფუძვლებისა და პრინციპების შესაბამისად, ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებების/ნებართვების განხილვის, საგამოძიებო უფლებამოსილებისა და საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს. სახელმწიფო ინსპექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიცავს განმცხადებელთა და მესამე პირთა პერსონალურ მონაცემებს, მესამე პირებს გადაეცემათ იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.

6. სამსახურის თანამშრომელთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევა არ გამოვლენილა. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე დისციპლინური წარმოება არ ჩატარებულა არც ერთი თანამშრომლის მიმართ.

7. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სამსახური ეყრდნობოდა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს.

8. 2019 წლის 10 დეკემბრიდან 2020 წლის 10 დეკემბრამდე დროის მონაკვეთში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე არ გასაჩივრებულა.

9. საჯარო ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯმა შეადგინა 0 ლარი (დოკუმენტები მოთხოვნილი და გადაცემული იქნა ელექტრონული ფორმით). ამასთან, არ წარმოშობილა გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯი.